

ქ.თბილისი

2017 წლის 20 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 20 ოქტომბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს მეთვალყურეთა თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის ოქმი და მთავარი მსჯის ბ. აქუბარდიას მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 13 ოქტომბერს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარულ მატჩზე, გარდაბანის „გარდაბანი“-სა და თბ „ივერია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ. აგრეთვე მატჩის მეთვალყურის, გ. ქერაშვილის მიერ ოქმში დაფიქსირებულია თბ „ივერია“-ს მხრიდან სათამაშო ფორმის წესების (საშეჯიბრო დებულების მე-5 მუხლის 21-ე პუნქტი) დარღვევის ფაქტი, კერძოდ, თბ „ივერია“-ს 9(ცხრა) მოთამაშეს ეცვათ დაუნომრავი მაისურები.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

შემდეგი დისციპლინარული დარღვევა :

- 1 გარდაბანის „გარდაბანი“-ს მორაგბე ბექა ხვისტანი - კონფლიქტის პროვოცირება.
- 2 თბ „ივერია“ - სათამაშო ფორმის წესების დარღვევა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.23, 2.2.7, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი № 1 -ის 1.22, 2.7 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. გარდაბანის „გარდაბანი“-ს მორაგბე ბ. ხვისტანი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
2. თბ „ივერია“ დაჯარიმდეს 450(ოთხასორმოდეათი) ლარით.
3. თბ „ივერია“-ს მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.22 პუნქტი და თბ „ივერია“-ს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 9 (ცხრა) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/